ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №62

ქ. თბილისი 19 ოქტომბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" - (შემდგომ „შემსყიდველი") ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ლელა უზარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (მინდობილობა №0818/ა, გაცემული: 01.06.2017) ვაკის ფილიალის დირექტორის თორნიკე თუთარაშვილის სახით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კანონის მე–3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ს1" ქვეპუნქტი) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული მანქანის **(Mercedes-Benz E320 სახელმწიფო ნომრით: HDH - 389)** 1). ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის (CPV კოდი: 34300000), 2). სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV კოდი: 50100000)(შემდგომში-საქონელი/მომსახურება) შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 817 (რვაას ჩვიდმეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. ძრავის ნაწილების (ძრავის საყრდენი MB W210) (**Mercedes-Benz E320 სახელწიფო ნომრით: HDH - 389**)(CPVკოდი: 34312000) ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 2 (ორი) ცალს, სულ 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

4.3. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილბის გარდა (გადაცემათა კოლოფის საყრდენი MB) (**Mercedes-Benz E320 სახელწიფო ნომრით: HDH - 389**)(CPVკოდი:

34320000) ღირებულება შეადგენს 47(ორმოცდაშვიდი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 1 (ერთი) ცალს;

4.4. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილბის გარდა (გენერატორი MB) (**Mercedes-Benz E320 სახელწიფო ნომრით: HDH - 389**)(CPVკოდი: 34320000) ღირებულება შეადგენს 190 (ასოთხმოცდაათი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 1 (ერთი) ცალს;

4.5. მანქანის ტექნიკური მომსახურების (გენერატორის მოხსნა/დაყენება) (**Mercedes-Benz E320 სახელმწიფო ნომრით: HDH - 389**)(CPV კოდი: 50112200) ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს.

4.6. მანქანის ტექნიკური მომსახურების (გენერატორის დაშლა/აწყობა)(**Mercedes-Benz E320 სახელმწიფო ნომრით: HDH–389**)(CPV კოდი: 50112200) ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს;

4.7. მანქანის ტექნიკური მომსახურების (ძრავის საყრდენი ბალიშის მოხსნა/დაყენება) (**Mercedes-Benz E320 სახელმწიფო ნომრით: HDH–389**)(CPV კოდი: 50112200) ღირებულება შეადგენს 120 (ას ოცი) ლარს;

4.8. მანქანის ტექნიკური მომსახურების (ავტომატური გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიშის მოხსნა/დაყენება) (**Mercedes-Benz E320 სახელმწიფო ნომრით: HDH–389**)(CPV კოდი: 50112200) ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს;

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული საქონელი/მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ლელა უზარაშვილი.

6.2. საქონელი/მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდკანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. საქონლის/მომსახურების მიწოდების/გაწევის ადგილი და ვადა

7.1. საქონლის/მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6;

7.2. საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული/გაწეული საქონელი/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საქონელი/მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.2 პუნქტში.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. მიმწოდებელი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისას ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს.
9.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. კონტროლს განახორციელებს სამინისტროს უფლებამოსილი პირი/პირები.

10. ხარისხი

10.1. მიწოდებული/გაწეული საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

11. პირგასამტეხლო ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.
11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
12.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.5. მხარე ვალდებულია 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზეპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე „შემსყიდველს".

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 24 ნოემბერის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ᵃ
ს/კ: 205308521 ტელ: 599902348
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი ლელა უზარაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი"
მის: ქ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5

ს/კ 202177205, ტელ:+995322244444
სს „თი ბი სი ბანკი" -ს ცენტრ. ფილიალი
ბ/კ TBCBGE22
GE80TB0600000024467853

ვაკის ფილიალის დირექტორი
თორნიკე თუთარაშვილი